საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

№ 863558 07/04 2016 წ.

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
ნერილის რეგისტრაციის № 89
თარიღი: 11 04 2016 წ.

ბატონო პაატა,

თქვენი N721770 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაციით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით (ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით) გათვალისწინებული გადაცდომისათვის 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 მარტამდე პერიოდში შედგენილია 53481 საჯარიმო ქვითარი, ხოლო 125-ე მუხლის მე-9 მუხლით (ამ მუხლის მე-6, მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის ისეთი შეფერხება, რომელმაც გამოიწვია საცობის შექმნა, გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით) შედგენილია 934 საჯარიმო ქვითარი.

აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწიბული სამართალდარღვევის მონაცემები აისახება ერთიან ელექტრონულ ბაზაში, შესაბამისად მათი (კონკრეტულად მე-6, თუ მე-8 ნაწილით არის ჩადენილი გადაცდომა) ცალკე დიფერენცირება შეუძლებელი.

ამასთან, დანართის სახით გიგზავნით შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მონაცემებს.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

შსს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის
სამმართველოს უფროსი გიორგი სახოკია

რეგიონი	პერიოდი	მუხლი 125-8	თანხა (ლარი)	მუხლი 129-9	თანხა (ლარი)
თბილისი	01/01/2016-01/03/2016	25847	258470	782	156400
აჭარა	01/01/2016-01/03/2016	2050	20500	11	2200
იმერეთი	01/01/2016-01/03/2016	11314	113140	31	6200
სამეგრელო	01/01/2016-01/03/2016	2338	23380	8	1600
შიდა ქართლი	01/01/2016-01/03/2016	2557	25570	21	4200
ქვემო ქართლი	01/01/2016-01/03/2016	3280	32800	15	3000
სამცხე-ჯავახეთი	01/01/2016-01/03/2016	1423	14230	11	2200
მცხეთა-მთიანეთი	01/01/2016-01/03/2016	496	4960	47	9400
კახეთი	01/01/2016-01/03/2016	2660	26600	5	1000
გურია	01/01/2016-01/03/2016	1516	15160	3	600